




საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია


მობილური ხმოვანი მომსახურებისა და
მობილური ინტერნეტის ფასების
ბენჩმარკინგი

საქართველოს ფარგლებში განხორციელებული ზარების საშუალო ტარიფი (ლარში)*

საქართველოს ფარგლებში განხორციელებული ზარების ტარიფი



საქართველოს ფარგლებში განხორციელებული ზარების ტარიფები მიმართულებების მიხედვით



* შენიშვნა: წლის ბოლო კვარტლის საშუალო ტარიფი. განხილულია როგორც კორპორატიული, ისე ინდივიდუალური სეგმენტები

საქართველოს ფარგლებში განხორციელებული ზარების ტრაფიკის ჯამური მოცულობები წლების და მიმართულებების მიხედვით

წუთების ოდენობა	2010	2011	2012	2013	2014	2015
სულ	3,087,593,062	5,055,702,139	6,513,388,033	7,695,632,525	8,489,390,088	9,254,689,963
საკუთარ მობილურ ქსელში დასრულებული	2,181,666,518	3,956,940,072	5,294,878,732	6,200,650,287	6,770,105,464	6,794,205,462
სხვა მობილურ ქსელში დასრულებული	764,857,365	907,102,607	1,021,991,134	1,295,077,880	1,527,631,656	2,234,127,870
ფიქსირებულ ქსელში დასრულებული	141,069,179	191,659,460	196,518,167	199,904,358	191,652,968	226,356,631

ITU-ს მეთოდოლოგია და განმარტებები

მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნების მობილური ხმოვანი მომსახურებისა და მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების შესადარებლად, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს (**Measuring The Information Society Report**), რომელშიც ასახულია ინფორმაცია მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ინდიკატორების შესახებ, მათ შორის მსოფლიოში მობილური ხმოვანი მომსახურებისა და მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების შესახებ. უკანასკნელი ანგარიში გამოქვეყნდა 2015 წლის დეკემბერში და ასახავს 2014 წლის მონაცემებს მსოფლიოს მასშტაბით.

მეთოდოლოგია უპირატესობას ანიჭებს წინასწარი გადახდის სატარიფო გეგმებს. ტარიფები განხილება გადასახადების ჩათვლით. მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს აქტივაციის საფასურს, პრომო აქციებს და სხვა დამატებით გადასახადებს (მაგ. Device charge).

ანგარიშში გამოყენებულია ფასების რამოდენიმე ინდიკატორი, მათ შორის ფასი გამოსახული აშშ დოლარებში და აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით (აღინიშნება PPP\$)

PPP


- PPP (Purchasing Power Parity, მსყიდველობითი ძალის (უნარის) პარიტეტი) საშუალებას იძლევა სხვადასხვა ქვეყნების მაჩვენებლების შედარებისას გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი ქვეყნების ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარი
- PPP-ს მნიშვნელობებს ქვეყნების მიხედვით აქვეყნებენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი)
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების შესაბამისად, 2015 წელს ლარის შესაბამისი PPP\$-ს მნიშვნელობა აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენდა 0.893*, რაც იმას ნიშნავს, რომ 2015 წელს თუ პროდუქტი აშშ-ში ღირდა 1 აშშ დოლარი, მისი სავარაუდო ღირებულება საქართველოში 0.893 ლარი იქნებოდა. ასევე, თუ პროდუქტი საქართველოში ღირდა 1 ლ, მისი სავარაუდო ფასი აშშ-ში იქნებოდა $1/0.893 \text{ USD} = 1.12 \text{ USD}$

* წინასწარი მონაცემები, 2016 წლის აპრილი

მობილური ხმოვანი მომსახურების ფასების ბენჩმარკინგი


Mobile-cellular prices (on-net)

USD



Mobile-cellular prices (on-net)


USD PPP



მობილური ხმოვანი მომსახურების ფასების ბენჩმარკინგი


Mobile-cellular prices (off-net)

USD



Mobile-cellular prices (off-net)


USD PPP



მობილური ხმოვანი მომსახურების ფასების ბენჩმარკინგი


Mobile-cellular prices (to fixed telephone)

USD



Mobile-cellular prices (to fixed telephone)

USD PPP



მეთოდოლოგია და განმარტებები

მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასები

მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების მიმოხილვაში განხილული გვაქვს აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაცემები 2016 წლის ივნისის მდგომარეობით. ფასების შესადარებლად საბაზისოდ აღებულია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU-ს) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია.

აღნიშნულ კვლევაში დამოუკიდებლად განვიხილეთ მობილური ინტერნეტის ფასები, რომლებიც მობილური ტელეფონით (handset-based) და კომპიუტერით (computer-based, USB მოდემით) გამოყენებისთვის არის განკუთვნილი. ქვეყნების მობილური ინტერნეტ ფასების შედარება სწორედ აღნიშნული კრიტერიუმით მოხდა:

	ტექნოლოგია	მობილური ტელეფონით გამოყენებაზე ორიენტირებული (MB)	კომპიუტერით გამოყენებაზე ორიენტირებული (MB)
პაკეტი	3G/4G	500	1000
პაკეტი	3G/4G	1000	4000-5000 *

*3999 დან 5000 მეგაბაიტის ჩათვლით.

*ITU-ს მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიაში გამოყენებული ცალკეული კრიტერიუმები იქნა კორექტირებული და მორგებული ჩვენს რეგიონზე.

მეთოდოლოგია და განმარტებები

მობილური ტელეფონით გამოყენებისთვის განკუთვნილი მობილური ინტერნეტის ფასის შეფასების მიზნით, განვიხილეთ ქვეყანაში 3 უმსხვილესი ოპერატორის (საბაზრო წილების მიხედვით) 500 და 1000 მეგაბაიტისანი ყველაზე იაფი ინტერნეტ პაკეტები, ხოლო კომპიუტერით გამოყენებისთვის შესაბამისად 1000 და 4000-5000 მეგაბაიტისანი პაკეტები.

განიხილება 1 თვიანი ვადის მქონე ინტერნეტ პაკეტები ან ერთ თვესთან მიახლოებული ვადის მქონე პაკეტები. დამოუკიდებლად განიხილება წინასწარი და შემოდგომი გადახდის სისტემები. ვინაიდან საქართველოში აბონენტების უდიდესი ნაწილი წინასწარი გადახდისაა, განხილვისას პრიორიტეტი მივანიჭეთ წინასწარი გადახდის სატარიფო გეგმებს.


კვლევაში განხილულია სტანდარტული პაკეტები (standalone).* ყველა სატარიფო გეგმის ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით. მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს აქტივაციის საფასურს, პრომო აქციებს და სხვა დამატებით გადასახადებს (მაგ. Device charge).

კვლევაში გამოვიყენეთ ფასების რამოდენიმე ინდიკატორი: ფასი გამოსახული აშშ დოლარებში, აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით (აღინიშნება PPP\$)

*სტანდარტული პაკეტის არარსებობის შემთხვევაში კვლევაში გამოყენებულია კომბინირებული პაკეტის ფასები

მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების ბენჩმარკინგი

Handset-based, პაკეტი 500 MB




მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების ბენჩმარკინგი

Handset-based, პაკეტი 1000 MB


კალათა (1GB)

USD



კალათა (1GB)

USD PPP




მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების ბენჩმარკინგი

Computer-based-USB, პაკეტი 4000-5000 MB


კალათა
(1GB)

USD



კალათა
(1GB)

USD PPP




მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ფასების ბენჩმარკინგი

Computer-based-USB, პაკეტი 4000-5000 MB


კალათა
(4-5GB)

USD



კალათა
(4-5GB)

USD PPP



დასკვნა

*საქართველოში მობილური ხმოვანი მომსახურების და
ფართოზოლოვანი მომსახურების ფასები ერთ-ერთი იაფია რეგიონში,
ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ფასებთან შედარებით*